ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8017859

ნომერი: AR11152700

თარიღი : 15.07.2026

გაცემის თარიღი : 23.07.2026

გაცნობის თარიღი : 24.07.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, რაფიელ აგლაძის ქუჩა, N 32;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ძიძიკაშვილი პ/ნ 12001092336
- თბილისი ლილოს დას. I მ/რ კორ. 15 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1 . ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, სამსახურის მიზანს წარმოადგენს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. აღნიშნული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობის კოორდინაციისა და რეგულირების ერთიანი პოლიტიკის გატარება, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება. ამავე მუხლის მე2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამსახურს, თავისი ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმების თანახმად განგიმარტავთ, რომ ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით, არქიტექტურის სამსახურს, კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების შემდგომ, განსაზღვროს კონკრეტული სამშენებლო სამუშაოების მიზანშეწონილობის საკითხი არსებული განაშენიანების, ურბანული გარემოს, ქალაქის იერსახის და სხვა ფაქტობრივი გარემოებების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე.

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ მისი უფლებამოსილების გათვალისწინებით არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული მსგავსი სახით ობიექტის განვითარება. სარეკლამო აბრა საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, სასურველია უფრო სადა, დახვეწილი სახით მისი შემუშავება, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების რაოდენობის შემცირება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება.
წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.